№ 248
სამშაბათი, 13 ნოემბერი, 1901 წ.

1877–1901

# ივერია

№ 248
სამშაბათი, 13 ნოემბერი, 1901 წ.

გაზეთის ლირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12. . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11. . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10. . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9. . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8. . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7. . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № ..
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, 1901 წ.

ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: ვ. აბაშიძის მონაწილეობით პირველად ახალი პიესა

I

„მგლები და ცხვრები“

კომედ. 5 მოქმ. ოსტროვსკისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

II

„დედის ერთა“

კომ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, ლექავა, მდივანი და თამაზიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, აწყურელი, შათირიშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია

მზადდება წარმოსადგენად „სანატრელი ცოლი“, „ანდერძით“, „ტარტიუფი“ (3—უ.—1)

ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობა ამით აცხადებს, რომ კრება ქალაქ ოზურგეთის მამულის პატრონთა, უმაღლესად ნება დართულ დაკლებულ რწმუნებულთა დამატებით არჩევნებისათვის, დანიშნულია რვა დეკემბერს 1901 წ. დილის ცხრა საათზედ ოზურგეთის მაზრის სამმართველოს დარბაზში. (3—238—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ხ. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ს. ა. ვოინო—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible] აპეტიანცი. $1—1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, $7—7^1/_2$ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ საქმეებს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰქარავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა, № 12. (2—უ—20)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან.

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულის წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავადის ზურაბ (იგივე ტატო) ივანეს ძის მაყაშვილის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შვიდას ოც და ხუთი (725) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელთ უჭირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავადს მაყაშვილს, ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება. (3—ნ.—3)

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოს: 1) მადნეულობის გამოკვლევა: ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში; 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეს.

ნახვა შეიძლება ყოველ-დღე 4—6 საათ. ადრესი: Георгіевская площадь, № 32. (8—6)

# ახალი ამბავი

—

*** ტფილისის ახალ ხმოსანთა საარჩევნო სიების შედგენა თითქმის დასრულდა და მომავალ 1902 წლის 1 იანვრისთვის დაიბეჭდება და დაურიგდება კიდეც მსურველთ. ამ ჟამად ქალაქის გამგეობა უკვე იღებს თხოვნებს იმათგან, რომელნიც სურვილს აცხადებენ ქალაქის ხმოსნობის კანდიდატობაზე.

*** კვირას, 11 ნოემბერს, „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ კრების გაგრძელება გამგეობის თავმჯდომარის თავ. ი. გ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით მოხდა. კრებამ დაწყებისათანავე თავმჯდომარის წინადადებით ფეხზედ ადგომით პატივი სცა საზოგადოების წევრის, აწ გარდაცვალებულის ბათუმის ქალაქის მოურავის ლ. ნ. ასათიანის სახელს. ამის შემდეგ, რადგანაც წარსულს კრებაზედ გამგეობის წევრად არჩეულმა ი. ს. გოგებაშვილმა უარი განაცხადა წერილობით, გამგეობის წევრის თანამდებობაზედ კენჭი უყარეს რამდენსამე კაცს. კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ ათ. ჯვარიშეიშვილი, ს. ოცხელი, კ. ჯაფარიძე, ილ. ალხაზიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ა. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი, რომელთაც კენჭის ყრაზე სურვილი განაცხადეს. ამორჩეულ იქმნენ: გ. დეკანოზიშვილი (ამოუვიდა 46 თ. 28 შ.), გ. ლასხიშვილი (48 თ. 25 შ.), არჩ. ჯორჯაძე (56 თ. 17 შ.) და ჯაფარიძე (33 თ. 31 შ.). სარევიზიო კომისიის წევრად არჩეულ იქმნა კონსტ. მაყაშვილი (50 თეთრი 24 შ.). შემდეგ ამორჩეულ იქმნენ საზოგადოების ახალი წევრები. კრება ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზედ დასრულდა.

*** ტფილისის სასანიტარო ინსპექტორის ბ-ნ სტეფანოვის მინდობილებით ექიმ-ქალს ფომინას დაუთვალიერებია პოლიციის პირველ ნაწილში ვერის დაღმართი, რომელიც მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში ყოფილა თურმე, რადგანაც თითქმის მთელის კვირაობით არ იწმინდება იქ მტკვრის პირას ნაგვის საყრელი ადგილი. ამას გარდა ამ ნაწილში მცხოვრებთა სახლებიდგან სიბინძურის სადენი მილები მტკვრამდე არა ყოფილა ჩაყვანილი. ამის გამო ბ-ნმა სტეფანოვმა გუშინ სთხოვა ქალაქის გამგეობას, საჭირო ზომები იქნას მიღებული ამ ადგილის დაწმენდა-დასუფთავებისათვის.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში გუშინ-წინ მოხდა საზოგადო კრება ტფილისის სახალხო კითხვათა კომისიისა, რომელმაც წარსულ წლის მოქმედების ანგარიშის დამტკიცების შემდეგ ამოარჩია კომისიის ბიუროს წევრნი და თანამდებობის პირნი. ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ექიმი ბ-ნი ხუდადოვი, მის ამხანაგად ბ-ნი პლამენევსკი, ხაზინადრად კაზლოვი და მდივნად ს. კაპანაკოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ბ-ნნი კომიაკოვი, მიტკევიჩი და ევანგულოვი.

*** განზრახვა აქვთ 1903 წელს სრულიად რუსეთის ხელოსანთა კრება მოახდინონ.

*** „Нов. Обозр.“-ს სიტყვით, „ცნობის ფურცლისა“ და „მოამბის“ რედაქტორს ბ-ნს ა. ჭყონიას აღნიშნულ გამოცემების რედაქტორობაზედ უარი განუცხადებია. მართალია, რუსული გაზეთი სწერდა, დანარჩენი თანამშრომლები ისევ ძველები დარჩებიანო, მაგრამ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ორს ძველს მუდმივს თანამშრომელს ბ-ნს კიტა აბაშიძესა და ივ. ზურაბიშვილსაც თურმე თავი დაუნებებიათ.

*** რუსეთის რკინის გზის ყველა სამმართველოებს მიწერილობა გაეგზავნათ თურმე, რომ როგორც კი ლიანდაგის მახლობლად სადმე გადამდები სენი—შავი ჭირი, ან ხოლერა და სხ. გაჩნდება, მაშინვე დაუყოვნებლივ გზათა სამინისტროს აცნობონ ხოლმე.

*** როგორც ვაგონების ამშენებელ პეტერბურგის ამხანაგობის გამგეობის მოწერილობიდგანა სჩანს, თვითო ვაგონის განათება წელიწადში გაზით (8 სანთლიანი) ინგლის-

სა და ევროპაში 126 მან. თურმე ჯდება, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის გზებზედ 108 მან. და ელექტრონით (16 სანთლიანი) ინგლისსა და ევროპაში—52 მან., ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზებზედ—92 მან.

*** ყვირილიდგან გვატყობინებენ, რომ 10 ნოემბერს, საღამოთი, ვიღაც უცნობს ვაგონების დამთვალიერებელი ალავიძე დაუჭრია ხანჯლით.

*** როგორც ხაშურის სადგურიდგან იუწყებიან, 10 ნოემბერს ვაგონების დაცლის დროს გლეხს ტარასი არესიძეს მარცხენა მუხლში რკინა დასცემია და მოუტეხნია. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი.

*** სახელმწიფო საბჭოს კანონპროექტი წარედგინა, რომ სასულიერო სასწავლებლებში საეკლესიო გალობის მასწავლებელთ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი მიენიჭოთ.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო მალე განიხილავს იმ საგანს, თუ სამელიორაციო კრედიტი როგორ უნდა ეძლეოდეთ იჯარით გაცემულ ადგილებში მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

*** ფინანსთა სამინისტროში მალე დაიწყებს მუშაობას კომისია, რომელმაც თუჯზედ ბაჟის დადების საქმე უნდა განიხილოს.

*** განზრახვა აქვთ საქველ მოქმედო საზოგადოებათ კომისიონერების შემწეობით ლატარიების მართვა აუკრძალონ.

*** რკინის გზების ხარჯთ-აღრიცხვათა განხილვის დროს, სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ რკინის გზებზედ ასე ხშირი უბედურებანი და მათი მიზეზები თავიდგან აცილებულ იქმნენ, მაგალითად, მოსამსახურეთა დაღალვა დიდის შრომისა გამო და აგრეთვე სიმცირე რკინის გზის მოხელეთა. მიღებულ იქმნებიან ღონისძიებანი აგრეთვე რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობის ნივთიერად გასაუმჯობესელად.

*** ტფილისის პოლიციის 1 ნაწილში პოლიციელმა შეიპყრო ორი სპარსეთის ქვეშევრდომი — სინოპ-ნამაზ-ოღლი და ამაზ-ტალი-ოღლი, რომელთაც ტფილისის მაზრაში მცხოვრებლისათვის მოეპარათ და მიჰქონდათ ტომრებით დაკლული თხები, ინდოურები და ქათმები. დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

*** გუშინ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება დროზედ შეკეთებულ იქმნეს დალესტნის და მურავიოვის ქუჩები, რომელნიც მეტად ცუდს მდგომარეობაში არიან მოუკირწყვლელობის გამო; ამის შესახებ ტფილისის მე-15 გრენადერთა ჯარის უფროს რამდენჯერმე უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, მაგრამ დღემდის ვერ გაუკეთებიათ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო.

*** როგორც ბორჯომიდგან იუწყებიან, ვაგონების დაცლის დროს დაშავებულა რემონტის მუშა ალექსანდრე გელიშვილი, რომელიც ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გამოუგზავნიათ.

---

## თეატრის მატიანე

„ორი ობოლი“, 5 მოქმედ. მელოდრამა, ფრანგულიდგან ნათარგმნი ა. ცაგარლის მიერ.

„ორი ობოლი“ ჩვეულებრივი ფრანგული მელოდრამაა, რომელშიაც ავტორის დაუდგრომელი ფანტაზია ერთი მეორეზედ უფრო შემზარავ და აღმძვრელ სურათებსა ჰქმნის. როგორც ყოველ მელოდრამას სჩვევია, „ორ ობოლშიაც“ ერთის მხრივ თუ წრეს-გადასულ ბოროტებასა ვხედავთ, მეორეს მხრით ავტორი უმწვერვალეს ხარისხამდე მიღწეულ სიკეთესა და ზნეობას გვაჩვენებს; ამას თუ ზედ დაურთავთ ადგილ-ადგილ მუსიკის მონაწილეობასაც,—მაშინ თვალნათლივი იქნება, თუ რამდენად ძლიერი უნდა იყოს მაყურებლისათვის შთაბეჭდილება სანახავისა.

დრამატიულ ნაწარმოებთა ამ გვარმა ფორმამ თავისი დრო მოიჭამა, რადგანაც ჭეშმარიტი ხელოვნება ვერ ეთვისება სანტიმენტალურს და მაღალფარდოვან გამოთქმას ამა თუ იმ გრძნობისას და, ცხოვრების სინამდვილესა ისე ჰხატავს, როგორც იგი მიმდინარეობს.

გარნა ერთხელვე ამ გვარ პიესებს მიჩვეული ხალხი კვლავ ეტანება მათ და ამის გამო თეატრის გამგენი იძულებულნი არიან ხან-და-ხან დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნილება საზოგადოებისა. მხოლოდ რეჟისორმა დიდი უნარი და ესტეტიკური გემოვნება უნდა გამოიჩინოს ხოლმე ამ გვარ პიესების დადგმისათვის და რანდი გაჰკრას პიესას, ჩამოაცალოს უხეში, იაფ-ფასიანი სცენიური ეფექტები და ცხოვრებას შესამჩნევად დაუახლოვოს. მაგალითად, ჩემის აზრით, სულ მეტი და უადგილო იყო მუსიკის მონაწილეობა მეოთხე და მეხუთე სურათებში. მართალია, მუსიკა მსმენელის ნერვებზედ საშინლად ჰმოქმედობს და ამით აძლიერებს შთაბეჭდილებას, მაგრამ ეს ხომ ისეთი ხერხია, რომელსაც ხელოვნებასთან საერთო არა აქვსრა. საჭიროა თვით ცხოვრების სცენაზედ ბუნებრივმა განხორციელებამ განმსჭვალოს მაყურებელი ამა თუ იმ გრძნობით და შინ იგი იმ გვარის სულიერ განწყობილებით გაისტუმროს, რომ ხანგრძლივად ნაგრძნობნანახი აღიბეჭდოს მის გონებაში. იაფ-ფასიანი ეფექტი-კი სწრაფად წარმავალია. განსაკუთრებით მეტი იყო მუსიკა ხსენებულ სურათებში, რადგანაც თვით ის, რაც სცენაზედ ხდება, იმ ზომამდე შემზარავია, რომ ყოველნაირი გარეშე ელემენტი—გადამლაშება იქნება და სხვა არა-რა. რა საჭიროა, ვიკითხავთ, მუსიკის ზედგავლენა იქ, სადაც თვით ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა ხელოვნურად გადმოგვცემს უსინათლო ლუიზას ბედშავ-მდგომარეობას? მუსიკა-კი ამ შემთხვევაში ანახევრებს სინამდვილის ილიუზიას. რაკი რეჟისორის შესახებ ჩამოვარდა სიტყვა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ორ-ობოლის“ წარმოდგენას აკლდა რეჟისორის გავლენა. მაგალითად, სტატისტნი ისე უსხდნენ „სტოლს“, ან ისე დადიოდნენ სცენაზედ, რომ ადამიანები-კი არა, მანქანები გვგონებოდათ. ამასთანავე აღსანიშნავია რეჟისორისავე საყურადღებოდ, რომ მრავალჯერ მსახიობებისაგან მეტის-მეტად უცნაური ქართული გვესმოდა. საზოგადოდ კი „ორი ობოლი“ კარგად იქმნა წარმოდგენილი. რაღა თქმა უნდა, რომ პიესის კარგად აღსრულებას უმთავრესად ხელს უწყობდნენ ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა და გაბუნია-ცაგარლისა. მათის თამაშობით საზოგადოება არა ერთხელ დამტკბარა და კვირასაც ამ შეუდარებელ მსახიობთ ხელოვნების დროშა მაღლა ამართული ეჭირათ. რამდენადაც კდემა-მოსილი და მრავალ-ტანჯული იყო ლუიზა საფაროვ-აბაშიძის გადმოცემით, იმდენად შემზარავი და ზნეობა-გახრწნილი გეჩვენებოდათ ფროშარის ქვრივი, ქ-ნი გაბუნია-ცაგარლის მიერ გაპიროვნებული. იმის გარეითად, რომ რომ ეს მსახიობნი ნამდვილ ესტეტიკურ კმაყოფილებასა ჰფენენ მაყურებელთ, მათ თამაშობას, ამასთანავე, მეტად დიადი მნიშვნელობა აქვს.

ეს თამაშობა სხვა გამოუცდელ მსახიობთათვის შეუდარებელი სკოლაა, რომელმაც იგინი უნდა აღზარდოს და გაწრთვნას. ჩვენი რეჟისორები რომ ამ გარემოებას თვალ-ყურს ადევნებდნენ,—ცდილობდნენ მსახიობთა ახალი თაობა ძველ-თაობას დაუკავშირონ, მაშინ მე დარწმუნებული ვარ, ეს უკანასკნელი ისე დაქვეითებულნი როდი იქნებიან ცოდნით და უნარით, როგორც ახლა არიან. მაგალითად, ქ-ნი ღლევავა ჩვენის ღარიბის სცენისათვის საყურადღებო მოვლენაა. ამ ახალგაზდა მსახიობს ბუნებითად შესწევს ყველა ის თვისება, რაც მას მომავალში დრამატიულ არტისტად აქცევს: მმოძრავი, გამომეტყველი სახე, სიმპატიური გარეგნობა და დრამატიულ კილოიანი ხმა. გარნა მან არ იცის, როგორ გამოიყენოს ეს მადლიანი მასალა და ამ გზის ჩვენება-კი მხოლოდ გამოცდილს მსახიობს შეუძლიან. მე დარწმუნებული ვარ, რომ დედაბოძნი ჩვენის ხელოვნებისა არ დაიშურებენ შრომასა და კეთილ სურვილს—დაეხმარნენ თავიანთ მცირე თანამოამხანაგეთ და ამით თვისი ღვაწლ-მოსილი სამსახური ქართულ სცენისადმი ბრწყინვალე შარავანდედით შემოსონ, არა როგორც მარტო მსახიობებმა, არამედ, როგორც საზოგადო მოღვაწეებმა.

მშვენიერი რამ იყო ბ-ნი ნ ვიმონიძე ჟაკის როლში. არ გვახსოვს არც ერთი წამი, იმის მიერ ჟაკის გაპიროვნების დროს, როდესაც ამ მსახიობს ემტყუვნოს ბუნებრივობისა და სინამდვილისათვის. ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა და განსაკუთრებით-კი ქვენა გრძნობით გაჟღენთილი ხარხარი—თავ-აღებულ ავაზაკის იერით ჰმოსავდა ჟაკის პიროვნებას.

ბ-ნ შათირიშვილის ნიჭის ხასიათს პიერის როლი არ შეეფერება, მაგრამ ეს მსახიობი იმ ზომამდეა დახელოვნებული და მშრომელი, რომ მეცადინეობით დასძლია სიძნელე პირის ხელისა და ხელოვნურად გადმოგვცა ამ ადამიანის კეთილ-ზნეობრივი ხასიათი.

ქ-ნი ნებიერიძისა და ბ-ნნი გამყრელიძე, აწყურელი და იმედაშვილი ყოვლად შეეფერებოდნენ თავიანთ როლებს. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო ქ-ნ ნებიერიძისაგან ისეთი მგრძნობიერი გადმოცემა ჰენრიეტას სულის-კვეთებისა, რომელიც მან კვირას გვაჩვენა. მხოლოდ კარგს იზამს იგი, რომ ლაპარაკის დროს მშვილდივით წელში არ იღუნებოდეს.

მკითხველმა იქნება არც-კი დაიჯეროს, რომ ბ-ნმა გედევანოვმა როლი არ იცოდა.

მსახიობნი მრავალჯერ და ხანგრძლივ ტაშის-ცემით დააჯილდოვეს.

წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, რამაც მსახიობნი შესამჩნევად გაახალისა.

ინზენ.

---

კვირას, 11 ნოემბერს, ვეტცელის დარბაზში უფასო სამკითხველოების სასარგებლოდ გამართულ იქმნა საღამო, რომელზედაც სცენის მოყვარეთაგან, თვითონ პიესის ავტორის ქ-ნის აზიანის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქმნა ორ-მოქმედ. კომ. „გაცრუებული იმედები.“

ეს ორი წელიწადია იშვიათად გვინახავს ჩვენს სცენაზედ ხელობით არტისტებს ეთამაშნოთ ისრე კარგად და უნაკლულოდ, როგორც ამ პაწია სცენაზედ სცენის მოყვარულებმა მოახერხეს. საუცხოვოდ და უნაკლულოდ შეასრულეს თავისი როლები ქ-ნმა რამანიშვილმა ზარალოვის ცოლის ნინოსი, ბ-ნმა გოგლომ სტეფან ივანიჩ ზარალოვისა (თუმცა ცოტა ხმა სჭარბობდა სცენასა), ბ-ნმა ყანჩელმა გაბოსი და ქ-ნმა ანდრონიკაშვილმა ლიზას როლი; კარგები იყვნენ აგრეთვე დანარჩენებიც. თამაშობა ერთიანად შეწყობილი და მწყობრი იყო, გარდა რამდენისამე მცირედ უხერხულობისა, რომელიც მხოლოდ სცენის სიპატარავეთი უნდა აიხსნას უთუოდ, სხვა არაფრით.

თვითონ პიესის შესახებ შევნიშნავთ, რომ ავტორს თავისს სცენებიდგან ბევრი რუსულად სალაპარაკო ადგილები გამოუტოვებია და ამითი პიესა გაშნოიანებულა. უკეთესი იქმნებოდა, ცოტათი კიდევ ჩამოაცლიდეს რასმე ამ ვითომ-და ცხოვრებიდგან ამოღებულს ხორცმეტს.

წარმოდგენას ხალხი პლომად დაესწრო, პატარა დარბაზი თითქმის სავსე იყო. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა გაიმართა, რომელმაც გვიანობამდე გასტანა.

დამოუკიდებელი.

---

## სასოფლო მეურნეობა.

„ჯერ განათლება გავავრცელოთ ხალხში და მერე მივსცეთ მას საზოგადო თაოსნობის გამოჩენის ღონისძიებაო“... ამას ამბობდენ ხოლმე რუსეთში ყოველთვის, როცა ცხოვრების გაჭირვების სიმწვავე ერის გონიერ წარმომადგენლებს აღამაღლებინებდათ ხმას, და ხალხის დაქვეითებულ ეკონომიური მდგომარეობიდან გამოყვანისათვის საჭიროდ დასახავდენ ისეთი დაწესებულების შემოღებას, როგორიც არის თემობა (ერობა).

„განათლება“ ისეთი მცნება იყო, მეტადრე უკუღმართთა გონებისათვის, რომელსაც საზღვარი არ მოეპოვებოდა. მათთვის რომ ადუჯერებინათ, რუსის ხალხი ვერასოდეს ვერ მოესწრებოდა ისეთს დროს, რომ სათემო დაწესებულებისათვის გონება მომწიფებულად ყოფილიყო ცნობილი...

რუსეთში რომ ამ 34 წლის წინად იმპერატორის ალექსანდრე II თაოსნობით სათემო დაწესებულება შემოჰქონდათ, მოწინააღმდეგენი, როგორც გაჭირვების ტალკვესს, ისე მოებღაუჭნენ ხ ა ლ ხ ი ს გ ა უ ნ ა თ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს, მაგრამ თვითმპყრობელის ხელმწიფებამ სძლია მათს უკუღმართობას და ხალხს მიენიჭა უფლება თავის საშინაო ეკონომიურ ყოფისათვის თვით ეზრუნა.

მერმე, როგორ გგონიათ, „თავბოლო ვერ გაუგო, ბოროტად მოიხმარა“ მან მინიჭებული უფლება თვით მმართველობისა?

თვით მოსისხლე მტერნი საზოგადოებრივის თაოსნობისა ვერ ჰბედვენ ამ დაკითხვაზე „ჰოს“ თქმას. საერთოდ აღსაარებულია, რომ ისეთი ნაყოფიერი კულტურული ნაბიჯი, როგორიც რუსეთმა წადგა წინ ეკონომიურად განვითარების გზაზე ამ 34 წლის განმავლობაში, მას არ გადუდგამს მთელი წინა საუკუნის განმავლობაში პეტრე დიდის ეპოქიდან დაწყებული.

სათემო დაწესებულების შემოღებამდე რუსეთი იყო სანახევროდ აზიური, გაუნათლებელი, ღარიბი ეკონომიურად და უღარიბესი მით, რომ ხალხს მოთხოვნილებაც არაფრისა ჰქონდა. ეხლა-კი, უპირატესად და უმთავრესად სათემო დაწესებულებათა წყალობით, რუსეთი არის ევროპიული სახელმწიფო, განათლებული მდიდარი, ნივთიერადაც და მოთხოვნილებითაც.

სათემო დაწესებულებათა გონიერმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ხალხის მეურნეობა და სამეურნეო მრეწველობა იმდენათ წასწია წინ, განათლებას იმდენად ღრმად გაუსკვნა ფესვები სოფლად, რომ დღეს ევროპის სასოფლო მეურნეობის ბაზრები რუსეთის ასეთისავე მეურნეობისაგან არიან დამოკიდებულნი. სადაც უწინ სამიკიტნოების გავლენა იყო დამკვიდრებული, ეხლა სკოლა და სამკითხველო აუშენებიათ და ისინი არსებითად საჭირონი გამხდარან გონება გამოფხიზლებულ გლეხთათვის, რომელნიც იმდენად განათლდენ, რომ ესმით თავიანთი მოვალეობაც და უფლებაც, იციან, რომ მათ ის გადახდებათ მხოლოდ, რაც კანონმდებლობის გზით არის გადასახადად დაწესებული; დალაქებისა და მარჩიელებს ხალხის ექიმობაში ასპარეზი დააცლევინეს მეცნიერულად განვითარებულმა ექიმებმა, ქსენონები და საავადმყოფონი არსებობენ ახლა იქ, სადაც თემობის შემოღებამდე ტბები იდგა; საცდელ მინდვრებს, სამაგალითო ფერმებს, გაუმჯობესებულ სისტემის სამეურნეო მაშინების საწყობებს ნახავთ იქ, სადაც ამ 34 წლის წინად ადამის დროინდელი „კავით“ ჩიჩქნიდენ მიწას...

არ. ამბროზიანი

# დაბა და სოფელი

—

**სამეგრელო.** ეს ეს არის გათავდა ამ დღეებში სამეგრელოს მთა-ბარის სოფლებში ჭირნახულის მოწევა. ეხლა-კი თამამად შეგვიძლიან წრევანდელ მოსავლის სიავკარგეს სრული ანგარიში გავუწიოთ. წელს, როგორც საქართველოს ზოგიერთა სოფლებში, სამეგრელოშიაც ყოველ გვარი მიწის მოსავალი, წარსულ წლებთან შედარებით, თითქმის ნახევარი იყო. ამისი მიზეზი უმთავრესად ზაფხულის უზომო სიცხეები და პაპანაქება იყო, რომელმაც ისე ააჭკნო სიმინდები, რომ ერთს მესამედს სიმინდისას ტარო არ გამოუტანია; ხოლო რომელმაც ტარო გაიკეთა, ისიც პატარა და მარცვლით ნაკლებია. ასეთივე ნაკლები იყო ღომი, ფეტვი და სხვა. განსაკუთრებით მცირე მოვიდა ღომიო, რომელიც მარხვაში თუ სხნილში ჩვენის ღარიბ ხალხის უპირველესს საშექმანდოს შეადგენს. ასე და ამ გვარად, წრევანდელი მოსავალი მეგრულ მეურნეთათვის ვერაფრად სანუგეშოა. მრავალი სასიმინდეები ცარიელი დარჩა. დიდი ღვთის წყალობა იქნება, რომ უმეტესობას წრევანდელი მოსავალი გაზაფხულამდე გაჰყვეს. ამ გვარმა ბუნების სიძუნწე-სიდუხჭირემ დიდს ფიქრსა და საგონებელში ჩააგდო აქაური მეურნე წოდების განურჩევლად.

მართლაცა და, რა უნდა ჰქონდას აქაურმა მეურნემ, რომლის ერთად-ერთს ცხოვრების წყაროსაც სიმინდი შეადგენს? სიმინდით არის აქაური მაგარი, იმითი ისტუმრებს ყოველ-გვარს გარდასახადსა და მოვალეობასა და წელს-კი ამ სახსარს თითქმის მოკლებულნი არიან. ადვილი წარმოსადგენია მათი ნივთიერი მდგომარეობა რა იქნება...

არც აბრეშუმის მოსავალი იყო წელს ყველგან რიგიანი, თუმცა-ღა იმედი დიდი ჰქონდათ. ვისაც-კი უმისოდ სამი-ოთხი ფუთი აბრეშუმის პარკი მოჰყავდა, წელს 10—20 გირვანქა ძლივს მოუვიდა და ისიც თესლის პატრონებმა აიღეს. დარჩნენ ჩვენი მეაბრეშუმე ქალები ხელში ჩალა-გამოვლებულნი და ცარიელ-ტარიელნი...

ღვინის მოსავალიც ხომ წელს მთელს სამეგრელოში არ იყო და არა. პირველში ვაზმა (ადესამ) კარგად მოისხა, მაგრამ შემდეგში უჩინრად გაჰქრა. ასე რომ საზედაშეც-კი არ მოჰსვლია უმრავლესობას. რომელი ერთი იტიროს და ინაღვლოს აქაურმა მეურნემ: სიმინდის მოუსვლელობა, თუ ღვინისა? უღვინობას კიდევ როგორმე გაუძლებენ, მაგრამ სიმინდს რა უყონ, სიმინდს, რომელსაც რამაც საუბედუროდ პეპლები უჩნდება?.. აი რა არის საწუხარო... შიმშილი აუცილებელი იქმნება. თითქმის პეპელამ პირველად ივლისის დიდს სიცხეებში იჩინა თავი: ძველს სიმინდს გაუჩნდა, შემდეგ ახალ სიმინდსაც გადაედო და ამ გვარად ახალსა თუ ძველს სიმინდს ერთნაირად აფუჭებს. სასურველია და დიდად საჭიროც, სწავლულებმა ამ გარემოებას თავისი განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, თორემ, როგორც ვსთქვით, სიმშილი მოგველის.

სამეგრელოს ზოგიერთს სოფლებში ამის გარდა ფუტკრის მოვლა მოშენებასაც მისდევენ, რომლიდანაც საკმაოდ რიგიანი შემოსავალი ჰქონდათ ხოლმე, მაგრამ წელს თითქოს ბუნებას შეჰშურდაო, ამანაც ყველას უმტყუნა. მოსავლის მაგიერ, მრავალს ადგილას ფუტკარი მთლად გაწყდა. ალბათ რაიმე სენი გაუჩნდა, თუმცა ჯერ ეს ყველასათვის გამოურკვეველია. მდაბიო ხალხმა ამისი თვითონ არა იცის-რა და პრაქტიკულად მომზადებული კაცები კიდევ აქ ძალიან ნაკლებია...

არც სხვა მხრივაა აქაური მკვიდრი უზრუნველ-ყოფილი ზოგიერთა პატიოსნებაზედ ხელ აღებულ ვაჟბატონების წყალობით. ქურდობა და ავ კაცობა ხშირი მოვლენაა. ეს სამარცხვინო ხელობა ძველებურად ისევ დღიური ამბავია. ძალად ქალის მოტაცებაც არ ახალია, ძველია. წარმოიდგინეთ, ზოგიერთნი ისე გაურბიან სინიდისსა და მართლმსაჯულებას, რომ ჯვარ დაწერილს ქალებსაც-კი იტაცებენ, რასაც, საუბედუროდ, სისხლის ღვრა მოჰყვება ხოლმე. აი, ამას წინადაც სოფ. ხორგაში ქალის მომტაცებელი სამი სიცოცხლით სავსე ყმაწვილი-კაცი სიკვდილის მსხვერპლნი შეიქმნენ.

ტრიფონ კალანდარიშვილი

# უცხოეთი

—

**გერმანია.** 24 ოქტომბერს ბერლინის ცხოვრებაში დიდად საყურადღებო, თუმცა-კი მშვიდი და მყუდრო, მოვლენა მოხდა. ბერლინის თვით-მმართველობა 144 ხმოსნისაგან შესდგება. ხმოსნები ნაწილ-ნაწილ იცვლებიან სამს წელიწადში ერთხელ; ყოველ წლივ ხმოსანთა ერთი მესამედი ათავებს ქალაქის თვით-მმართველობაში სამსახურის ვადას და იმათ მაგიერ ახალს ხმოსნებს ირჩევენ. 24 ოქტომბერსაც ამოირჩიეს, თანახმად არსებულის წესისა, 48 ხმოსანი. 48 კაცის არჩევანი სამს ხარისხად არის დაყოფილი, ასე რომ თითო ხარისხით 16 კაცია ამოსარჩევი. 24-ს ოქტომბერს მესამე ხარისხის არჩევნები მოხდა და 16 კაცში 13 სოციალ-დემოკრატი იქმნა არჩეული. სხვათა შორის 24 ოქტომბერს ანტისემიტებმა დაჰკარგეს თავისი ერთად-ერთი ადგილი ქალაქის საბჭოში. დემოკრატიამ უკვე რამდენიმე ახალი საქმე წამოაყენა არჩევნების რიგის შესახებ. ბერლინში 400,000 კაცია და არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ მხოლოდ 50,000 კაცს,

**ავსტრო-უნგრეთი.** ავსტრიის პარლამენტის ბიუროს მცირე კომისიაში 4 ხმის უმეტესობით ორის წინააღმდეგ მიღებულ იქმნა წინადადება მე—14-ე პარაგრაფის გაუქმების შესახებ, რომელიც იმპერატორს უფლებას აძლევს საჭიროების დროს პარლამენტს გვერდი აუქციოს და თავის დეკრეტით პარლამენტის დაუმტკიცებლივ გადასჭრას ხოლმე საქმეები.

— კერბერისა და სელლის მოლაპარაკებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ავსტრო-უნგრეთის ავტონომიურ ტარიფის პროექტი დაუყოვნებლივ განიხილება ბუდაპეშტში, ტარიფის უკანასკნელ რედაქციისათვის მუშაობა დასრულდება ახალწლამდე.

**შეერთებული შტატები.** პრეზიდენტ რუზველტთან მივიდა დეპუტაცია, შემდგარი მრავალ ქალაქის სავაჭრო საზოგადოებათა წარმომადგენელთაგან. დეპუტაციამ სთხოვა პრეზიდენტს სავაჭრო კავშირი დაუდოს კანადას, რადგანაც ამ ქვეყანასთან ვაჭრობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს შეერთებულ შტატების მექარხნეებისათვის. ეს მნიშვნელობა ჩამოუვარდება მხოლოდ ინგლისთანა და გერმანიასთან ვაჭრობის მნიშვნელობას. პრეზიდენტმა უპასუხა დეპუტაციას, მაგ საგანზე მე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ არა მგონია, შესაძლებელი იყოს, რომელსამე ქვეყანას ამ საქმეში უპირატესობა მივცეთ. პრეზიდენტმა დასძინა, რომამ საქმეს უნდა დაეხმარონ თვით სავაჭრო საზოგადოებანი, რომელთაც შეუძლიანთ სასურველად ამოქმედონ კონგრესში თავიანთი წარმომადგენელნიო.

**სამხრეთი აფრიკა.** ბუკენდამის მახლობლად 16 ოქტომბერს 35 ბრიტანიის ოფიცერს და ჯარის-კაცს სურსათი მიჰქონებიათ; უეცრივ ბურები დაესხმიან თავს და ყველაფერი წაურთმევიათ, ამასთან 2 აფიცერი და 14 ჯარის-კაციც მოუკლავთ. ამის შესახებ „რეიტერის სააგენტოს“ მხოლოდ 31 ოქტომბერს გამოგზავნა დეპეშა ლონდონში. აშკარაა, რომ ბევრი კიდევ სხვა საგმირო საქმე აქვთ ჩადენილი ბურებს სამხრეთ-აფრიკაში, რომელთა შესახებ მხოლოდ მაშინ გვექნება ცნობები, როდესაც ან სრულიად გათავდება ომი, ან იმდენი ხანი გაივლის, რომ ინტერესი დაეკარგება. ეს ინგლისის ტაქტიკაა.

— დოქტორი ლეიდსი ბერლინიდამ ვენაში აპირებს წასვლას, რათა თითონ განაცხადოს პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ავსტრიის მთავრობის თანახმობით ინგლისს იქიდამ ცხენები გაჰყავს და ზარბაზნები მიაქვს ბურებთან საბრძოლველად.

კიტჩენერის უკანასკნელი დეპეშა იუწყება: „გაიგზავნა რაზმები დევეტისაგან ორანჟეს რესპუბლიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილში მოგროვილის ბურების გასაფანტავადაო“. ინგლისიდამ უკვე რამდენჯერმე იუწყებოდნენ, დევეტი დაიღუპა, ცოცხალი აღარ არისო და ეხლა-კი კიტჩენერი რაზმებსა ჰგზავნის იმის წინააღმდეგ. დევეტის შესახებ კაი ხანია გაზეთები არაფერს არ იწერებოდნენ დანამდვილებით და ეხლა იმ აზრს არიან, რომ დევეტი აქამდე ჯარს ამზადებდაო.

— გაზეთს „Manchester Guardion-ში“ დასტამბულია პრეზიდენტის შტეინის წერილი კიტჩენერთან. შტეინი, სხვათა შორის, უტყუარის ფაქტებით ამტკიცებს, რომ ინგლისის საქმე სამხრეთ-აფრიკაში შარშან ამ დროს უფრო კარგად იყო, ვიდრე ეხლაა, როდესაც ინგლისს ორი სატახტო ქალაქის მეტი არაფერი უპყრავს ხელში; ორსავე რესპუბლიკას ეხლა ისევ ჩვენ, ბურები, ვპატრონობთ, მმართველობა ჩვენს ხელშიაო. ინგლისის ოფიციალური ცნობები სრულიად ამართლებენ შტეინის წერილს.

**ოსმალეთი.** ვენის გაზეთის „Information“-ის სიტყვით, ოსმალეთს სამი ქალაქი—პროვეზა, დურაცო და ვალლადა გაუმაგრებია, რადგანაც შიში აქვს, უეცრივ ან იტალიამ ან საბერძნეთმა არ მოინდომოს ამ ქალაქების დაჭერაო.

**საბერძნეთი.** „Berlin. Tagbl.“-ის სიტყვით, პრინცს გეორგს, სხვათა შორის, დაჰპირებიან სახელმწიფოები ნებას დაგრთავთ, რომ საერთაშორისო ჯარის მაგივრად საბერძნეთის ჯარი იყოლიო კრიტზეო.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები).

—

ფრანგთა ცნობილ მწერალს ადოლფ ბრისონს ქალთა აკადემიის დაარსება განუზრახავს. ამას წინად ბრისსონს „Annasle“ მკითხველებისათვის მიუმართავს და უთხოვნია დაასახელონ 40 გამოჩენილი ქალი ევროპაში. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რა წრეს ეკუთვნიან ეს ქალები; სულ ერთია დედოფალი იქნება თუ პრინცესსა, მწერალი, სწავლული, მხატვარი, საზოგადო მოღვაწე, მომღერალი თუ არტისტი. ბრისონს უკვე მოსვლია პასუხები მკითხველთაგან. ეხლა საქმე ისაა, რომელი მთავრობა იტვირთებს ამ აკადემიის დაარსებას.

***

საფინანსო საქმეების შესახებ კამათის დროს ნორვეგიის სტორტინგში დეპუტატმა ბრანდტმა ლაპარაკი ჩამოაგდო იმაზედ, თუ რა ჯდება ჯარის შენახვა. როგორც აღმოჩნდა, ნორვეგიას ყველა სხვა სახელმწიფოზედ ძვირად უჯდება ჯარის შენახვა. ნორვეგიაში სულ 65,000 ჯარის-კაცია. თვითო ჯარის-კაცის შენახვა ჯდება

| | | |
|---|---|---|
| ნორვეგიაში | 220 | კრონი, |
| შვეციაში | 134 | „ |
| დანიაში | 170 | „ |
| რუსეთში | 165 | „ |
| საფრანგეთში | 175 | „ |
| ავსტრო-უნგრეთში | 217 | „ |
| იტალიაში | 148 | „ |
| რუმინიაში | 120 | |
| გერმანიაში | 210 | |

***

ნობელის კომიტეტი, რომელსაც პრემიების განაწილება აქვს მინდობილი და რომლის წევრებადაც არიან: ბიერნშტერნე-ბიერსონი, ჯონ-ლუნდი, ლევლანდი და მინისტრ-პრეზიდენტი სტეენი, ამ ცოტა ხანში შეიკრიბება კანდიდატთა ღვაწლის დასაფასებლად და პრემიების გასანაწილებლად. ამბობენ, მრავალი კანდიდატია წარდგენილიო. სხვათა შორის, ბურებსა და პრეზიდენტს კრიუგერს წარუდგენიათ ინგლისელი ჟურნალისტი სტედი, მაგრამ მას უარი განუცხადებია პრემიის მიღებაზედ.

***

დეტრუადგან (შეერთებულ შტატებშია) შემდეგ ამბავს იუწყებიან. ერთ ადგილობრივს თიატრში კინემატოგრაფის საშუალებით სხვა-და-სხვა სურათებს აჩვენებდნენ. საზოგადოებას ძალიან მოეწონა განსაკუთრებით ერთი სურათი, რომელიც ევროპიელთა ჯარის პეკინში შესვლას წარმოადგენდა. ამერიკელთათვის ამოარჩიეს ის სურათი, სადაც შეერთებული შტატების ჯარის შესვლაა. შუა სურათის დროს მოულოდნელად პარტერის პირველ რიგში ვიღაც დედაკაცმა შეჰყვირა.

— ღმერთო ჩემო!—წამოიძახა დედაკაცმა.—აი ის ჯარის-კაცი ხომ ჩემი ძმა ალლენია, რომელიც რამდენიმე წელწადი მკვდარიაო. დააკვირდნენ სურათს სხვებიც და მათაც იცნეს უკვალოდ დაკარგული ალლენ მაკ-კასგილიდამ. მეორე დღესვე მისწერა წერილი სამხედრო უწყებას ვაშინგტონში და მალე გაიგო, რომ იმისი ძმა მართლაც მსახურებდა ჯარში. შეიტყო[illegible] ნეს აგრეთვე, რომ ალლენი [illegible] ხალია და ჩინეთში სიმამაცისათვის დაწინაურებულ იქმნა სამსახურში. ახალგაზრდა ალლენ მაკ-კასგილი რამდენისამე წლის წინად უიმედო სიყვარულის მიზეზით მამის სახლიდგან გაქცეულა, შემდეგ ჯარში შესულა და პეკინში საომრად გამგზავრებულა.

# საგაასო

## სიმართლის აღსადგენად.

„ცისკარი“ რომ გამოდიოდა, იმ დროს ერთმა ვინმემ იკისრა „შინაური მიმოხილვის“ წერა და მის ნაწერებში მარტო მისის ოჯახისა და ნაცნობ-მტერ-მოყვრების ამბავი იყო ხოლმე მოყვანილი. ზოგს მათგანს აქებდა და ზოგს აძაგებდა, რომ საკუთრად გული მოეფხანა. ჰკითხეს: „კაკო, ეს რა გიწერიაო?“ და იმანაც გულ-წრფელად აღიარა: „მაშ რა უნდა მეწერა? „შინაური მიმოხილვა“ არ მაკისრეთო“? ზოგიერთებს დღესაც ასე ესმით ბიბლიოგრაფობა: მიჰყოფენ ხელს წერას და რაც ადამიდან დაწყებული იოანე ნათლის-მცემლამდე კი თქმულა ბიბლიაში (დაბადებაში) და ან გაგონილა, მხოლოდ იმას იმეორებენ უსწორ-მასწორად და თავიც წინასწარმეტყველებად მოაქვთ. სხვები უფრო შორსაც მიდიან: ვერ გაურჩევიათ სიტყვა „ბიბლიოგრაფია“, თუ რაღაც მათი უბედურობაა; ბებიების მონაჭორებსა სწერენ და გამოუდით „ბებიოგრაფია“ და არა ბიბლიოგრაფია! ეს სიტყვები, რასაკვირველია, არ ეხება ჩვენს ბიბლიოგრაფად ცნობილს ბ-ნ გ. ყიფშიძეს! მაგრამ ხან-და-ხან ისიც კი აკლებს ხოლმე ყურადღებას მისს კრიმანჭულ-ბიბლიოგრაფიებს. მაგალითად, „კრებულის“ შესახებ ბრძანებს, რომ ეს ჟურნალი ტფილისში გამოდიოდა ყოველ თვიურად; ჯერ მარტო მისს საკუთარ ნაწერებს ჰბეჭდავდა აკაკი, მერე ნება მისცეს სხვებისაც ებეჭდა და თანამშრომლად მ. ჯანაშვილი და ზ. ჭიჭინაძე ჰყავდაო. ტფილისიდან იმერეთში გადიტანა, ქუთაისში დაუწყო ბეჭვდაო. პირველად ათასი ხელის-მომწერი ჰყავდა, მაგრამ მერე თან-და-თან იკლო ხელის-მომწერლების რიცხვმა, თავის დროზე აღარ გამოდიოდა დ ბოლოს სულაც შეჩერდაო“. ეს ამბავი სრულიად გადასხვაფერებულია და მოკლებულია სიმართლეს: თავისს დღეში არც ტფილისში და არც იმერეთში ათას ორასს ეგზემპლიარზე ნაკლები არ დაბეჭდილა „კრებული“ და კიდევაც რიგდებოდა ხალხში. მაგრამ „კრებულის“ ხელის მომწერლები უმეტესად დაბალი, მუშა, ხალხი იყო და არა „ინტელიგენტ-მაღალი წოდება“. ბ-ნ ბიბლიოგრაფს ვერ შეუნიშნავს და გამოპარვია ეს გარემოება.—მიზეზი „კრებულის“ შეჩერებისა სულ სხვა იყო და არა ხელის-მომწერთა ნაკლებლობა. ის მიზეზი თვით ყიფშიძემაც კარგად იცოდა. მე თვითონ ვუჩვენე საბუთი „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში, მაგრამ დავიწყებია ალბათ! ასეა ადამიანის ბუნება!.. რაც არ უნდა და გულს არა სწვდება, მალე ავიწყდება საზოგადოდ კაცს და რაც უნდა კი, იმას არა თუ

იმარხავს გულში, კიდევაცა ჰზდის. „კრებულშიაც“ მქონდა ნათქვამი და ახლაც ვიმეორებ, რომ სულაც არა მყოლოდენ ხელის-მომწერლები, მაინც კიდევ არ დავანებებდი თავს „კრებულის“ გამოცემას. მაგრამ სხვა გვარად გადაბრუნდა ჩარხი. თავდაპირველად ნება მქონდა აღებული, რომ „კრებულში“ მებეჭდა მარტო ჩემი ნაწერები. მერე ნება დამრთეს სხვების ბელეტრისტიული ხასიათის ნაწერებიც მებეჭდა და მეც ვსარგებლობდი ამ უფლებით, როდესაც ზოგიერთებმა, სადაც დიახ შინაურია ბ-ნი ყიფშიძეც, ჩემი საწინააღმდეგო, ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ჩემი სადევნელი წერილების წერა დაიწყეს „ცნობის ფურცელსა“ და „მოამბეში“, მეც ჩემ ჟურნალში დავიწყე პასუხის წერა და გაიმართა პოლემიკა.

მე-კი უფლება არა მქონდა მებეჭდა ჩემს „კრებულში“ სხვა რამე გარდა ლექსებისა და მოთხრობებისა. აი რამ შეაჩერა „კრებული“. ეს უნდა სცოდნოდა ბ-ნ ბიბლიოგრაფსაც და სხვა აზრი და ხასიათი არ უნდა მიეცა საგნისათვის და თუ იცოდა და თქმა არ ეხერხებოდა, რატომ სულ არ სდუმდა?

აკაკი

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

10 ნოემბერი.

**ხარკოვი.** რადგანაც ამ ჟამად ქვა-ნახშირის წარმოებაში კრიზისია, სამთო მრეწველობის წარმომადგენელთა კრებაზედ ბრიკეტის წარმოების შესახებ იქმნა აღძრული ლაპარაკი.

**კიევი.** ზამთრის განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზაზე მოუსავლობით დაზარალებულთათვის მუშაობას გამართავენ. სამუშაო სულ 2000 კაცისათვის იქნება. მუშაობა დაიწყება დეკემბერში. უნდა აშენდეს 75 ბარაკი 55,000 მანეთის ღირებულობისა. სანიტარული ზედამხედველობა მინდობილი აქვს რკინის გზის სამმართველოს.

**ბელგრადი.** მიატოვიჩის საპასუხოდ მინისტრ-პრეზიდენტმა ვუიჩამ განაცხადა, რომ სერბიის საფინანსო მდგომარეობის უმთავრესი საგანი პირველად ხარჯთ-აღრიცხვის თანასწორობის აღდგენა და სერბიის ერის ეკონომიურ მოღვაწეობის ხაძლიერება და მეორედ. არსებულ ვალების გარდახდაა, რისთვისაც გადაიდება ის შემოსავალი, რომელიც ყოველ დღიურს სახელმწიფო ხარჯებს უნდა მოხმარებოდა. ბოლოს მინისტრ-პრეზიდენტმა წარმოსთქვა, რომ სერბიას შეუძლიან გამოვიდეს ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდან; ამისთვის მას ძალაცა აქვს და შეძლებაც.

**იოჰანესბურგი.** ინგლისის ადმინისტრაციამ ჩამალა შეთქმულება, რომელიც აქ იყო განზრახული. წარსულს სამშაბათს შუაღამის დროს 20 კაცი დააპატიმრეს. გუშინ, როცა ეს ამბავი მოვიდა აქ (?), დიდი აღელვება გამოიწვია. დაპატიმრებულებს როდის გაასამართლებენ, ჯერ არ იციან.

**კონსტანტინოპოლი.** ის დაბრკოლება, რომელიც პორტამ აღმოუჩინა საფრანგეთის სტაციონერს გემს დარდანესზედ-გავლის დროს, ჯერ-ჯერობით არ გარდაწყვეტილა, მაგრამ იმედი აქვთ, რომ საქმე მალე მოეწყობა. იმ წრეებში, რომელიც პორტასთან დაახლოვებულნი არიან, ნამდვილად ამბობენ, რომ ორი სტაციონერ-გემის დგომა ბოსფორში საჭირო სრულიად არ არის და რომ ავსტრ-უნგრეთმა და იტალიამ უკვე დიდი ხანია მეორე სტაციონერები გამოიყვანესო.

**ბერლინი.** საღამოს გაზეთებში სწერენ, რომ საბაჟო ტარიფის შესახებ რეიხსტაგისათვის განმარტება წარუდგენიათ. განმარტებაში მიქცეულია ყურადღება იმაზედ, რომ აწინდელი საბაჟო სისტემა სრულებით შეიცვალოს. გაათავებს თუ არა ამ საქმეს გერმანია სავაჭრო ხელშეკრულობის შეეკვრება იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ამას მოინდომებენ. ტარიფის შეცვლა ხელშეკრულებას ხელს არ შეუშლის. სასურველია, ახალი პროექტი 1904 წ. 1 იანვრიდგან შევიდეს ძალაში, ხოლო რადგანაც საეჭვოა, რომ ამ ვადისათვის პროექტი ძალაში შევიდეს, ამიტომ პროექტით ვადის დანიშვნა იმპერატორს შეეძლება.

11 ნოემბერი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტმა დაადგინა შეჩერებულ იქმნას ერთის კვირით გაზ. „Русскія Вѣдомости“-ს გამოცემა; გაზეთ „Восходъ“-ს გამოეცხადა პირველი გაფრთხილება.

ოდესაში 26 ოქტომბრიდან შავის ჭირით ავად არავინ გამხდარა.

**კონსტანტინოპოლი.** გუშინ სულთანმა რუსეთის ელჩი ზინოვიევი ინახულა და, სხვათა შორის, უთხრა, რომ დიდს ვეზირს საიდუმლო წინადადება მივეცი—რუსეთთან საუკეთესო ურთიერთობა დაიცვასო.

**პარიჟი.** პალატის წინანდელ დადგენილებათა წინააღმდეგ საბიუჯეტო კომისია წინადადებას იძლევა მომავალ სესხის რაოდენობა აღრიცხულ იქმნას ისე, როგორც ამას მთავრობა თხოულობს, ესე იგი, 265 მილიონი.

**ფოთი.** ქუთაისის საოლქო სასამართლოს განყოფილებამ გაარჩია 10 ნოემბერს საქმე ტაგანროგის მასწავლებლის კსეგორატისა, რომელსაც ბრალად ედებოდა ის, რომ თავისი თავი სახელმწიფო კანტროლის მოხელედ დაასახელა და სამგზავრო მატარებელში მგზავრთა ბილეთებს კანტროლი უყო. სასამართლომ ერთის წლით დაპატიმრება და განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა გარდაუწყვიტა, მაგრამ სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ დამნაშავეს სასჯელი შეუმცირდეს ექვსის თვით დაპატიმრებით და უფლება არ ჩამოერთვას, რადგანაც ჯერ ახალგაზდაა და დანაშაულშიაც გულწრფელად გამოტყდა.

12 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე და დიდი მთავარნა მილიცა ნიკოლოზის ასული 10 ნოემბერს საზღვარ-გარეთ გაემგზავრნენ.

უვაჟის ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს: „რადგანაც 11 ნოემბერს 15 დღე შეირულდა მას შემდეგ, რაც ოდესაში გარდაიცვალა მეორე ავადმყოფი შავის ჭირით, და ამ 15-ის დღის განმავლობაში არავითარი ნიშნები აღარ აღმოჩენილა შავის ჭირისა, ამიტომ კომისიამ დაადგინა გაუქმებულ იქმნან შემდეგი შავის ჭირის აღმოჩენის გამო ოდესაშა შემოღებული ზომები: 1) აკრძალვა ისეთის საქონლის გატანისა, რომელსაც შესაძლოა შავი ჭირი გაჰყვეს თან; 2) ოდესიდამ მიმავალ გემების შემწეობა გამგზავრების წინ; 3) ოდესიდამ რკინის გზით მიმავალ მგზავრებზე სანიტარული ზედამხედველობა; და 4) მოსპობა ოდესაზე სამხედრო გემების გატარებისა. ამასთანავე კომისიამ ჯერ ისევ საჭიროდ სცნო: ა) ექიმებმა შეამოწმონ ხოლმე შავის ზღვის პირებზე მოსიარულე გემები, როდესაც ისინი ოდესის ნავთ-საყუდელში შემოდიან. ბ) ექიმებმა თვალ-ყური ადევნონ ხოლმე ამ გემებს, ვიდრე ნავთსაყუდელში იქნებიან და გ) მოვალენი იქმნენ სამგზავრო გემების პატრონებმა ექიმები იყოლიონ.

„ნიკოლაევის გრადონაჩალნიკმა შეატყობინა, 24 ოქტომბერს ოდესიდამ ნიკოლაევის სატუსაღოში მოყვანილი ტუსაღი ავად გახდა, და 7-ს ნოემბერს გარდაიცვალა. იმ გარემოებამ, რომ ეს ტუსაღი ოდესიდამ იყო მოყვანილი და იმ წვალების ხასიათმა, რომელიც ავადმყოფმა სიკვდილის წინ გამოიარა, ეჭვი დაჰბადა შავის ჭირის შესახებ და ამიტომ შავის ჭირის საწინააღმდეგოდ ყოველივე ღონე იქმნა მიღებული. ექიმების და ბაქტერიოლოგების გამოკვლევით ავადმყოფს დაჩირქიანებულის იარისაგან სისხლი მოჰშხამია და ამ მიზეზით მომკვდარა; ექიმებს აზრით შავის ჭირის შესახებ ეჭვიც-კი უადგილოა“.

„ბათუმში, ქალაქის საავადმყოფოში, აღმოჩნდა შავის შირის ნიშნებით ავადმყოფი; ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ დაასტკიცა რომ ეს კაცი მართლა შავის ჭირით არის ავად. ამ ჟამად ავადმყოფი განკარგულების გზაზეა. ყოველივე ზომაა მიღებული, რომ ჭირი არ გავრცელდეს“.

**სარატოვი.** სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე სარატოვის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსად ნამყოფის სტატსკი სოვეტნიკის ტეკფერდასა, რომელსაც ჰბრალდებოდა ავანსად გადაცემულ 20,000 მანეთის გაფლანგვა და სამსახურის დროს სიყალბის ჩადენა. ფული ქაღალდში წაუგია. ტეკფერდი დამნაშავედ იქმნა ცნობილი. გადეწყვიტა უფლებათა ჩამორთმევა და სამის წლით პატიმართა განყოფილებაში გაგზავნა; დანაშაულობის თანამონაწილე ვაჭარი გორანჟონი პროცესის წინა დღეს გარდაიცვალა.

**კიევი.** კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი ქალაქიდგან 10 ვერსის მანძილზედ ჰმართავს აგარაკს უკანასკნელ კლასში გადასულ მოსწავლეთათვის და აგრეთვე იმათვის, ვინც კანიკულების დროს ინსტიტუტში დარჩება.

**ბერლინი.** იუწყებიან, რომ საერთაშორისო კონფერენცია შაქრის საქმეებისა გამო დანიშნულია 3 დეკემბრისათვის. მოწვევის ქაღალდები გაეგზავნებათ გერმანიას, ავსტრიას, ბელგრიას, ესპანიას, საფრანგეთს, ინგლისს, ჰოლანდიას, შვეციას, იტალიას და რუმინიას. შეერთებული შტატებს არ მიუვა მოწვევა. რუსეთის შაქრის პრემიების გაუქმეის წინააღმდეგია. დიპლომატიურის საშუალებით მიღებულ ცნობების ძალით საფიქრებელია, რომ საფრანგეთი დასთანხმდება შაქრის პრემიების გაუქმებას.

**პარიჟი.** პარიჟში მყოფმა ოსმალეთის რწმუნებულმა შეატყობინა მინისტრს დელკასსეს, რომ, მინისტრის მოთხოვნილების თანახმად, პორტა დასთანხმდა დარდანელში შეუშვას საფრანგეთის სტანციონერი.

**ლებედინი.** საგანგებო საერობო კრებამ, მაისმინა რა მოხსენება სარევიზიო კომისია იმის შესახებ, რომ სამეურნეო იარაღის საწყობს 9000 მანეთი აკლია, ოთხის ხმის უმრავლესობით მიიღო წინადადება კომისიისა იმის შესახებ, რომ სამართალში მისცეს გამგეობა თანამდებობის დროს დანაშაულობის ჩადენისათვის.

**სევასტოპოლი.** ოსმალეთის ადგილობრივმა ელჩმა სთხოვა ქალაქის უფროსს გამოუცხადოს კავკასიიდგან გადმოსახლებულ მაჰმადიანებს, რომ ოსმალეთის მთავრობა მათ აღარ მიიღებს.

**ათინა.** კაბინეთმა სამსახურიდგან გადადგომა ითხოვა.

**ათინა.** ზაიმისს თათბირი ჰქონდა მეფესთან; ჰფიქრობენ, რომ იმას მიენდო ახალის კაბინეთის შედგენა. ზაიმისი ერთხელ კიდევ ინახულებს მეფეს.

**ათინა.** ზაიმისმა ღამე გაუგზავნა მეფეს ახალ კაბინეთის წევრთა სია, შედგენილი ამ რიგად: ზაიმისი—მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი (იგივე დროებით, ვიდრო არეულობათა საქმის გამოძიება დამთავდება, იუსტიციის მინისტრად იქმნება), ტრიანდაფილაკოს—შინაგან საქმეთა მინისტრი, ტოპალისი—საზღვაო, მონ ფერატო-სარწმუნოებათა და საერო განათლებისა, ნეგრისი—ფინანსთა და პოლკოვნიკი კორპასი სამხედრო მინისტრი. მინისტრები ხვალ ფიცს მიიღებენ და დაუყოვნებლივ წინადადებას მისცემენ პალატას თავისი მოქმედება შეაჩეროს.

**ბელგრადი.** საერო კრება. მინისტრ-პრეზიდენტმა, როდესაც ძველ სერბიაში მომხდარ ამბების გამო შეეკითხნენ, სთქვა, რომ ძალ-მომრეობა შედეგი იყო მაკედონიის კომიტეტის მხრივ გამოწვეულ უნდობლობისა. მაკედონიის ადმინისტრაციამ, რომელმაც უმიზეზოდ ბრალი დასდო ძველ სერბიაში მცხოვრებ სერბებს (?); ამავე დროს შეუდგნენ დაპატიმრებას, რამაც ალბანელთ საშინელი ძალ-მომრეობა დააწყებინათ. სერბია, რომელსაც რუსეთი უჭერთა მხარს, მხნედ, ჩაერია საქმეში, როდესაც საქმის ვითარება გამოიკვლია უსკიუბში მყოფმა რუსეთის ელჩმა, პორტამ მიიღო ზინოვიევის მოთხოვნილებანი. ამასთან ერთად პორტა დაჰპირდა სამშობლოში დააბრუნოს სერბთა გახიზნული ოჯახები.

## ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 17 დღ[illegible] 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩ[illegible] დის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ტფილისიდგან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერ[თ]ხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 [წ.] (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 [ს.] 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 [ს.] 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დ[ი]ლის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამ[ოს] 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩა[]დის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღა[]მოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩად[ის] დღით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

**ბათუმიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 [ს.] 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამ[ო]დის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის [] ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამ[ო]დის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათო[]ბით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.) ტფილისში ჩიმოდის დღის 12 ს. 47 [წ.] (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 [ს.] 2 [წ.] (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამ[ოს] 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 [ს.] 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დი[]ლის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).


# განცხადება



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა
**ბ. მ. მირიმანიანისა**

**Музыкальное депо**
**М. МИРИМАНЯНА**
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—6.—8)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**